My Options

აბორტის შესახებ ინფორმაცია და მოსმენით მხარდაჭერა

HSE-ს ცხელი ხაზი „My Options“ (ჩემი ვარიანტები) გთავაზობთ ინფორმაციას იმაზე, თუ აბორტის სერვისებზე წვდომა როგორ მოიპოვოთ.

აბორტის მომსახურებას ყველა თერაპევტი ან ექიმი არ უზრუნველყოფს. ცხელ ხაზზე იმ თერაპევტების ან ექიმების და ოჯახის დაგეგმვის კლინიკების საკონტაქტო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი, რომლებიც ამით არიან დაკავებული.

დახმარება მოსმენით ასევე ხელმისაწვდომია ნებისმიერისთვის, ვისაც დაუგეგმავი ორსულობა აქვს.

უფასო ზარი **1800 828 010**

ორშაბათი - ხუთშაბათი: დილის 9-დან საღამოს 8 საათამდე
Friday: დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე
შაბათი: დილის 10-დან შუადღის 2 საათამდე

აბორტის შემდგომი სამედიცინო კონსულტაცია ცხელ ხაზზე, კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში არის ხელმისაწვდომი.

ვებჩატი ასევე **myoptions.ie**-ზე არის ხელმისაწვდომი

აბორტის სერვისების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, სამედიცინო დახმარება აბორტის დროს და მას შემდეგ.

თუ აბორტის გაკეთება გადაწყვიტეთ, შეგიძლიათ, HSE-ს „My Options“ ცხელ ხაზზე დარეკოთ, რათა თერაპევტების ან ექიმების და ოჯახის დაგეგმვის კლინიკების საკონტაქტო ინფორმაცია მიიღოთ, რომლებიც აბორტის მომსახურებას უზრუნველყოფენ. აბორტის მომსახურებას ყველა თერაპევტი არ უზრუნველყოფს.

თუ აბორტი გაიკეთეთ, ექთნებისგან სამედიცინო კონსულტაციის მიღება ცხელ ხაზზე, კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში შეგიძლიათ.

მოსმენით მხარდაჭერა და კონსულტაცია

„My Options“ ცხელ ხაზს ტელეფონით და ვებჩატით გთავაზობთ. თქვენ შეგიძლიათ, პროფესიონალ, გამოცდილ კონსულტანტებს უფასოდ ესაუბროთ. თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას არ ვეცდებით და მხოლოდ სასაუბროდ, მხარდასაჭერად და ინფორმაციისთვის დროს შემოგთავაზებთ.

კონსულტაცია თქვენთვის უფასოა. ეს სერვისი ტელეფონით მოგეწოდებათ. შეგიძლიათ, კონსულტანტს თქვენი ორსულობის შესახებ, ან აბორტის შემდგომი დახმარებისთვის ესაუბროთ. კონსულტაცია ასევე პარტნიორისა და ოჯახის წევრებისთვისაც არის ხელმისაწვდომი.

თუ ინგლისური თქვენი მშობლიური ენა არ არის, ცხელ ხაზზე დარეკეთ, ან დახმარება ვინმეს სთხოვეთ, ვისაც ენდობით. თარჯიმნების მომსახურებით სარგებლობა 240 ენაზე შეგვიძლია. გვითხარით, რა ენაზე საუბრობთ და თქვენი ტელეფონის ნომერი. ჩვენ თარჯიმანთან ერთად დაგიკავშირდებით.

შემდეგ მისამართზე „My Options“ შესახებ ინფორმაცია 17 ენაზეა ხელმისაწვდომი: **hse.ie/myhealthmylanguage**

უფასო ზარი **1800 828 010**

ვებჩატი **myoptions.ie**-ზეასევე ინფორმაციისთვის და მოსმენით მხარდაჭერისთვის არის ხელმისაწვდომი